№ 154 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, ივლისის 13 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ქოლობნის თემის ერობის გამგეობა

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ სამიქაოს საზოგადოებიდან, სენაკის მაზრა, შექმნილია ორი თემი,

### ქოლობნისა და სამიქაოს.

ქოლობნის თემში შედიან სოფლები: ქოლობანი, დიდი-გეზათი, პატარა გეზათი, გუგუნაჟათი და ბულვანი. ქოლობნის ერობის მუშაობა დაიწყო 1920 წ. ივნისის 2-დან. ზემო მოხსენებული სოფლების შესახებ ყოველგვარი საქმეები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: დაბა აბაშა, (სენაკის მაზრა) ქოლობნის თემის ერობის გამგეობას.

738 5—2

## სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ექსპედიციის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა (სამი დღის შემდეგ განმეორებით) ყოფილი სანაპირო რაზმის შტაბის (ბროსეს ქუჩა) გადაკეთების იჯარით გაცემაზე.

შენობის გადასაკეთებლად არის დანიშნული 5.080.354 მან. იმ პირებმა, რომლებიც მოისურვებენ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას უნდა წარმოადგინონ დახურულ პაკეტებში თავისი პირობები 14 ივლისის 12 საათამდე და შემოიტანონ ამ დრომდევე ექსპედიციის კასაში გირაო 10% ზემოაღნიშნული თანხისა.

743 1—1

## ტფილისის ელექტრონის ფუნიკულიორის სააქციო საზოგად. გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის აგვისტოს 4-ს დღით 12 საათზე საზოგადოების კანტორის ბინაზე (ვერის დაღმართი № 12) დანიშნულია აქციონერთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) 1919-1920 წლის ანგარიშის და ბალანსის განხილვა, 4) არჩევნები წესდების მიხედვით, 5) 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვა, 6) მიმდინარე საკითხები.

1807 1—1

## ოფიციალური განყოფილება

### დეკრეტი

**ქალ. ოზურგეთის თვითმმართველობისათვის 2.000.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ორი მილიონი (2.000.000 მან. ქალ. ოზურგეთის თვითმართველობისათვის სამი წლის ვადით სამნახევარ ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ოზურგეთის თვითმართველობის მიერ, დაწყებული 1921 წლის იანვრის 1-დან ვალის ერთი მესამედისა ($^1/_3$) და მისი სარგებლის გადახდით ყოველ-წლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. ოზურგეთის თვითმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებითა და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**ქალ. თელავის თვითმმართველობისათვის 3.000.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი ქალ. თელავის თვითმმართველობისათვის ოთხი წლის ვადით სამნახევარ ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. თელავის თვითმართველობის მიერ დაწყებული 1921 წ. იანვ. 1-დან შვიდას ორმოცდაათი ათასი (750.000) მანეთისა და სარგებლის გადახდით ყოველწლიურად.

3. ამ დეკრეთით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. თელავის თვითმმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**ქალ. ლანჩხუთის თვითმმართველობისათვის 1.500.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ერთი მილიონი ხუთასი ათასი (1.500.000) მანეთი ქალ. ლანჩხუთის თვითმმართველობისათვის სამი წლის ვადით სამნახევარ ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ლანჩხუთის თვითმმართველობის მიერ, დაწყებული 1921 წ. იანვრის 1-დან ხუთასი ათასი (500.000) მანეთისა და სარგებლის გადახდით ყოველწლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. ლანჩხუთის თვითმმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებითა და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
**ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**ქალ. ოჩემჩირის თვითმმართველობისათვის 2.000.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მანისტრის განკარგულებისათვის ორი მილიონი (2.000.000) მან. ქ. ოჩემჩირის თვითმმართველობისათვის სამი წლის ვადით სამნახევარ ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველი (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ოჩემჩირის თვითმმართველობის მიერ, დაწყებული 1921 წლის იანვრის 1-დან ვალის ერთი მესამედისა ($^1/_3$) და მის სარგებლის გადახდით ყოველ წლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. ოჩემჩირის თვითმმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებითა და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**ქალ. ზუგდიდის თვითმმართველობისათვის 2.000.000 მან. სესხის მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ორი მილიონი (2000.000 მან. ქ. ზუგდიდის თვითმმართველობისათვის სამი წლის ვადით სამნახევარ ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ზუგდიდის თვითმმართველობის მიერ, დაწყებული 1921 წლის იანვრის 1-დან ვალის ერთი მესამედისა ($^1/_3$) და მისი სარგებლის გადახდით ყოველწლიურად.

3. ამ დეკრეტით გაცემულ სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. ზუგდიდის თვითმმართველობის მთელი უძრავ-მოძრავ ქონებით და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

### განკარგულებანი

**მთავრობის თავმჯდომარისა.**

10 ივლისი, 1920 წ. № 16.

მთავრობის ამა წლის 8 ივლისის დადგენილების თანახმად დაინიშნოს მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგად ისიდორე მათეს ძე მალანია.

მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.**

**მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგისა.**

9 ივლისი, 1920 წ. № 7129.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, შევუდექი რა ჩემი მოვალეობის აღსრულებასა მივესალმები ჩვენ თანამშრომლებს და ვუსურვებ მათ გარკვეულ და მხნეთ მუშაობას საქართველოს დემოკრატიის სასარგებლოთ და საბედნიეროთ. ყველა ჩვენი თანამშრომელი დიდიდან პატარამდის, განურჩევლად მისი მდგომარეობისა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჰპოვებს ჩემში თავის ინტერესების და პიროვნების დამცველს.

ამასთანავე მე არ შემიძლია არ გავაფრთხილო ყველა მოსამსახურენი, რომ ჩემგნით მათ მოეთხოვებათ სასტიკი პასუხის მგებლობა თავიანთ მოვალეობის აღსრულებაში.

დაუშვებლად მიმაჩნია სამსახურში მოსვლის დაგვიანება ან სამსახურიდან დანიშნულ დრომდის ადრე წასვლა; თუ სასწრაფო საქმე მოითხოვს მის დამთავრებას ნურავინ ნუ დაერიდება იმას, რომ სამსახურის დრო გათავდა, უნდა დარჩეს და საჩქარო საქმე დაამთავროს. სასტიკად დევნილ იქნებიან ის მოსამსახურენი, რომელნიც მისცემენ თავიანთ თავს უფლებას სამსახურის დროს სამინისტროში უსაქმოდ სიარულს, ან მუსაიფს, როგორც სტუმრებთან, ისე ურთი ერთ შორის.

ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია კანცელარიებში უსაფუძვლოდ მიწერ მოწერის გაჩერება, განსაკუთრებით პროვინციიდან მოსულ ქაღალდებზე პასუხის მიცემის დაგვიანება— და მით უმეტეს ტელეგრამებზე. ყოველ ნაირი სასწრაფო ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ ტელეგრამაზე პასუხი იმ დღესვე მიეცეს; არ კმარა ტელეგრამას მსვლელობა მიეცეს, ან გადაეცეს სხვა უწყებას სადა შეიძლება დააგვიანდეს, საჭიროა პასუხის მიცემა რა მსვლელობა მიეცა ტელეგრამას.

ყველა გამგეებისაგან, მათი თანაშემწეებისაგან და უფროს თანამშრომლებისაგან მოვითხოვ ხშირ ხშირად ადგილობრივ საქმეების დათვალიერებას და მეტი ყურადღების მიქცევას ადგილობრივ.

არ დაივიწყოთ, რომ სამინისტრო და მისი მოხელეები არსებობს ხალხისათვის და არა ხალხი სამინისტროსათვის.

მიწათ-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **მალანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

### სამხედრო წესები ბათომში და ოლქში

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა ქალ. ბათომში და ოლქში სამხედრო წესები ცხადდება. მე, რომელიც ბათომის და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისრად ვარ დანიშნული, დღეიდან ჩემი მოვალეობის აღსრულებას შევუდექი. მართველობის ყველა ორგანო ვალდებულია მე დამემორჩილოს და ყველა ჩემი განკარგულებანი სისწორით გაატაროს ცხოვრებაში. იმ ნაწილების უფროსებმა, რომელნიც ოლქში არიან დაბანაკებულნი, დროებით, სანამ ჩემ მიერ სათანადო ადმინისტრატიული პირები იქნებოდეს დანიშნული, ვალდებული არიან თავის თავზე მიიღონ, ან ოფიცრებს დააკისრონ მილიციის უფროსების ვალდებულების აღსრულება. მოვუწოდებთ მშვიდობიან მცხოვრებთ თავისი საზრიანი მოქმედებით და რესპუბლიკისადმი ერთგულების გრძნობით შეამსუბუქონ ჩვენი დიდი მუშაობა და ხელი შეგვიწყონ წესიერების დამყარებაში, რათა ამგვარათ ოლქი აყვავებისა და კეთილდღეობისაკენ წავიყვანოთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამუსლიმანო საქართველოში ავტონომიური მართველობის განხორციელება. მე მრწამს, რომ ყოველი ქართველი მუსლიმანი თავის მეჯლისის მეთაურობით ამ დიადი საქმის განხორციელებაში ჩვენთან იქნება".

ქ. ბათომის და ბათომის ოლქის განსაკუთრებული კომისარი **ჩხიკვიშვილი.**

### ბათომი.

**სურსათის მიღება.**

კონსტანტინოპოლიდან სურსათის მოტანას მოელიან.

**სახელმწიფო ბანკი ბათუმში.**

საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგემ ბანკის რწმუნებული გურამოვი რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შენობის მისაღებად ბათომში გაგზავნა.

**მუშების მისალმება.**

ერობათა კავშირის სახელოსნოების მუშებმა ერობათა კავშირის კომიტეტს, სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების გამო მისალმებით მიმართა.

**შრომის განყოფილება.**

თანახმად შრომის მინისტრის განკარგულებისა ტფილისის შრომის კომისარი ელბაქიანი ბათომის შრომის განყოფილების საქმე-

ების ინგლისის სარდლობისაგან მისაღებათ ბათომში გაემგზავრა. ამასთანავე ელბაქიანს ბათომის შრომის კომისრის კანცელარიის მოწყობა მიენდო.

**ბათომის ნავთსადგური.**

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით ბათომში გაიგზავნა ინჟ. გვარამაძე, რომელსაც ბათომის ნავთსადგურის, სამმართველოს საქმეების და აგრეთვე გზათა უწყების ყველა წარმოებათა და დაწესებულებათა მიღება დაევალა. ამასთანავე ბათომში გაემგზავრა რესპუბლიკის ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი ინჟენერი სამადალაშვილი და მოკირწყლულ გზების სამმართველოს წარმომადგენელი ანდრონიკაშვილი.

**მისალმება ბათომის ქალაქის თვითმართველობას.**

ქალაქთა მთავარმა კომიტეტმა ბათომის მუნიციპალიტეტს შემდეგი მისალმებით მიმართა: „საქართველოს რევოლიუციონური დემოკრატია მის განუყოფელ ნაწილის ბათომის და მისი ოლქის შემოერთებას დღესასწაულობს. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი იზიარებს საერთო ეროვნულ სიხარულს, ამ დიდ დღესასწაულს ბათომის მუნიციპალიტეტს ულოცავს და იმედს გამოსთქვამს, რომ ბათომი, საქართველოს ქალაქთა ოჯახში საპატიო ადგილს დაიჭერს და მათთან ერთად მიიღებს მონაწილეობას რესპუბლიკის აღმშენებლობაში ხალხის საკეთილდღეოთ".

**ბათომის ქალაქის თავი.**

ბრიტანეთის მართველობის პირთა განკარგულებით მაიორმა მორმანმა ბათომის ქალაქის საბჭოს თავაჯდომარის მოვალეობის ასრულებას თავი დაანება. საქართველოს მართველ პირთა განკარგულებით ბათომის ქალაქის თავის მოვალეობის ასრულებას რ. ჯოვახოვი შეუდგა.

# მუშათა ორგანიზაციების შეერთებული სხდომა.

კვირას 11 ივლისს, მუშათა კლუბში შესდგა პროფ. კავშირთა გამგეობის წარმომადგენლებისა და ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების შეერთებული სხდომა, რომელიც ცენტრ. პროფ. კავშირის საბჭოს ინიციატივით, იყო მოწვეული, ადერბეიჯანთან დადებულ ზავისა და ადერბეიჯანის გაზეთებში საქართველოს წინააღმდეგ გამოქვეყნებულ პროვოკაციულ ამბების წინააღმდეგ ბრძოლისათვის რეალური ზომების მიღების შესახებ.

თათბირს დაესწრო 300 წარმომადგენელი 30 პროფ. კავშირისაგან. კრება გახსნა პროფ. კავშირის თავმჯდომარემ ა. ხელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ დღის წესრიგლი მხოლოთ ერთი საკითხია: ზავი ადერბეიჯანთან და ადერბაიჯანის კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმიო.

თათბირის წევრს მელაძეს წინადადება შეაქვს მოიწვიონ თათბირზე საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრები და წინადადება მიეცეთ მათ გააკეთონ განმარტება თუ რა ზომებს იღებენ ისინი საქართველოს წინაღმდეგ მომართულ პროვოკაციული გამოსვლებთან საბრძოლველად.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდიან ევგ. პ. გეგეჭკორი და ნ. ბ. რამიშვილი, რომელთაც მუშები ტაშით ხვდებიან. ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ე. პ. გეგეჭკორს, რომელიც ამტკიცებს თუ რამდენად ფრთხილად ეპყრობა მუშათა კლასი მას, თუ რა ხდება სახელმწიფოში, რამდენად ის პოლიტიკურად განვითარებულია და რამდენად ცხადად აქვს წარმოდგენილი ყველა ის საშიშროება, რომელიც შეიძლება ჩვენსკენ წამოვიდეს. მე მივესალმები თქვენს შეკითხვას, მოგცემთ სრულიად გულახდილ პასუხს, რადგან მთავრობას, რომელიც თქვენ ნდობაზე ეყრდნობა. არ შეუძლია ექნეს რაიმე დამალული და დაფარული, რადგან ეს ნდობა დაიკარგება თუ არა, მაშინვე დაეცემა მთავრობა. თქვენ იცით, როგორ მოგვახვიეს თავზე ომი. თქვენ გახსოვთ, რომ როგორც კი საბჭოთა ჯარს ჩვენმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯერ კიდევ ოცდა ცხრა აპრილს, საგანგებო ნოტით წინადადება მისცა შეეჩერებიათ შეტევა და მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ ყველა საკითხი, მაგრამ ეს ნოტა უპასუხოთ დარჩა. ამ გვარად ომის ინიციატორები რასაკვირველია, ჩვენ არ ვიყავით. ვინ იყო ამაში დამნაშავე? საბუთი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, სრულის რწმენით გვიპასუხებს ამ კითხვაზე. საქართველოს დემოკრატია გამოდგა ძლიერი და რევოლიუციონურ სამშობლოს დაცვაში აუცილებელი გადაწყვეტილება გამოიჩინა. თავდაცვიდან ჩვენ გადავედით შეტევაზე და ადერბეიჯანის ტერიტორიის ნაწილი დავიჭირეთ. და ჩვენ ვიცით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენ რესპუბლიკის დაცვის გადაწყვეტილებამ მოგვცა 12 ივნისს აქსტაფაში ხელმოწერილი ფურცელი. ეხლა ამ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია ორივე მხარემ მოახდინა. მაშასადამი, ორივე მხარემ უნდა მიიღოს ზომები კეთილ მეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულების დასამყარებლად. თქვენ იცით, რომ საქართველოს მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებდა და იღებს საზავო ხელშეკრულების ყველა პუნქტის ასრულებლად. მაგრამ აგრეთვე ყველამ იცის, და ეხლა ეს უდაოა, რომ ყოველივე ზავი არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურაში შეიძლება გახდეს ქაღალდის ნახევათ, მხოლოდ ტაქტიკურ ზავათ, თუ არ არსებობს რეალური ძალა, რომელიც ყოველ წუთში მზათ იქნება მის დასაცავათ. სწორედ ამ შეხედულობიდან უნდა გამოვიდეთ ანალოგიური საკითხების განხილვის დროს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ გვაქვს მტკიცე ზავი. რომ თქვენს მთავრობას განეცხადებია თქვენთვის რომ მას აქვს მტკიცე ზავი, რომელიც ჩვენ მშვიდობიან არსებობას უზრუნველყოფდა, ეს იქნებოდა ბოროტება. ზავის რეალურ პირობას წარმოადგენს შეგნება! ჩვენი მუშათა კლასისა, რომ იგი მზათ არის ყოველ წუთში იარაღით ხელში დაიცვას საზავო ხელშეკრულება ამ რეალურ ფაქტს ანგარიში გაუწიოს კონტრაგენტმა. მხოლოდ ასეთს პირობებში იქნება საზავო ხელშეკრულება რეალური ფაქტორი, მაგრამ, როგორც კი ეს ძალა დასუსტდება, გაჰქრება რწმენა ხელშეკრულებისა და შემდეგ დადგება რეალური საშიშროება. აი რა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ჩვენ წინაშე მდებარე საკითხი. უნდა აღვიაროთ, რომ ადერბეიჯანში იმყოფებიან კომუნისტური პარტიიდან გავლენიანი პირები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ არიან განწყობილნი. მათ შორის ჩვენ ვხედავთ საქართველოს ჩამომავალთაც. ისინი, დამარცხდენ რა საქართველოს მთავრობასთან ბრძოლაში, იძულებული შეიქნენ დაეტოვებიათ საქართველოს ტერიტორია და ეხლა კავკავში, ბაქოში და როსტოვში სცდილობენ სხვა გზით აწარმოონ ჩვენი საწინააღმდეგო მუშაობა. ამიტომ, როდესაც ბოლშევიკურ გაზეთებში იბეჭდება წერილები რომლებიც სამართლიანათ გაღელვებთ თქვენ, უნდა იცოდეთ, რომ ეს ერთი ნაწილია, მთელისა, რომ ეს მხოლოდ კერძო მოვლენაა ბნელი ძალების საქართველოს წინაამდეგ მისასევათ.

თქვენ იცით, რას ნიშნავს ეს. მათ უნდათ გულუბრყვილო ხალხზე მოახდინონ შთაბეჭდილება მით, რომ თითქოს საქართველოს მთავრობამ მოსპო ყოველივე თავისუფლება, რომ მუშები დამონებულია და გლეხები დაბეჩავებულია და გარეშე შეტაკების ცეცხლით მათ სურთ თავისი ბნელი საქმეების კეთება. წასისიანებისათვის ისინი არაფრის წინაშე არ სდგებიან. თქვენ იცით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა პოლიტიკის ერთერთი მეთაურთაგანი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ჯარებს შორის არიან სუნჯენის ყაზახები და რომ მაშასადამე, საქართველოს მიდამოებში შექმნილია ბაზა „კონტრრევოლიუციონერებისა და რომ ამიტომ საქართველო „მოსპობილ უნდა იქნეს. თითქმის ამგვარივე ცნობა იყო დაბეჭდილი მოსკოვის პრესაში. იქ იუწყებოდენ, რომ 2 მაისს ტფილისში პლეხანოვის პროსპ. მოხდა აჯანყება ჯარის ერთი ნაწილისა და ეს აჯანყება მკაცრი ზომებით ჩაქრობილი იქნა, მრავალია მოკლული, დაჭრილი და ჩამოხრჩობილიო. სჩანს მხედველობაში ჰქონდათ სამხედრო სასწავლებელზე მაისში თავდასხმა, როდესაც მძინარეებს რამდენიმე პროვოკატორი თავს დაესხა. მაგრამ ამ ცნობის წყალობით, იქ მოსკოვში, რომელიც ჩვენიდან მოწყვეტილია, შეიქმნა ხმაურობა და გაჩნდა საქართველოს წინააღმდეგი განწყობილება. დიახ, ეს მთელი სისტემაა. მხოლოთ პროვოკასიისა და ტყუილის გზით შეიძლება ჩვენთან ბრძოლა. პატიოსნური ბრძოლა მათთან შეუძლებელია, რადგან მათ დამარცხება მოელით. რასაკვირველია ადვილია ცილის წამების ბადეში გაბმა. ჩვენი ქართველი კომუნისტებიც ასევე იქცევიან. რასაკვირველია სავსებით ასე არა. ისინი არ ბეჭდავენ აშკარა ყალბ ცნობებს, მაგრამ არსებითად ლაპარაკობენ იმასვე. ისინი აცხადებენ, რომ მუშათა კლასი დაბეჩავებული და დამონებულია, რომ საქართველოს მუშები ოცხებობენ ჩამოაგდონ თავისი მთავრობა. კომუნისტების ამ მოქმედებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. დიახ, საზავო ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთად ერთ რეალურ გარანტიას წარმოადგენთ თქვენ. მხოლოთ თქვენ მზათ ყოფნას შეუძლია ჩვენი დაცვა და გადარჩენა მოულოდნელობისაგან, რომელსაც თქვენი მთავრობა მოელის.

(გაგრძელება იქნება).

# სომხეთი და ადერბეიჯანი

ტფილისში მყოფი სომხეთის დიპლომატიური მისია იუწყება ერევნიდან, საგ. საქ. მინისტრ ოგანჯანიანის დეპეშის შესახებ. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჰუსეინოვის დეპეშაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა, რომ სომხეთის მთავრობას დაუყონებლივ შეეჩერებია ყოველგვარი შეტევა სომხეთის ჯარებისა და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მისი თქმით ადერბეიჯანის მთავრობა იძულებული გახდებოდა დაერღვია 2 ივლისს დადებული ხელშეკრულება და იგი განთავისუფლდებოდა თავის მომავალ მოქმედებაში, რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოგანჯანიანმა დეპეშით უპასუხა. სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი თავის პასუხში, რომლის ასლი მოსკოვში და ტფილისში არის გაგზავნილი, აცხადებს: თქვენი ხუთი ივლისის № 26 თარიღით დეპეშის საპასუხოდ გაცნობებთ შემდეგს: 1) შარურო-ნახიჩევანის რაიონი და ზანგიბასარი, რომელიც ამ ჟამად სომხეთის ჯარებით არის დაკავებული სომხეთის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. თქვენი შეკითხვა სომხეთის მთავრობის მოქმედების შესახებ, ჩემი მთავრობის მიერ მიღებული იქნება როგორც სომხეთის შინაურ საქმეებში ჩარევა. 2) არც ყაზახის რაიონში და არც სხვა მოსაზღვრე ადგილებში, ადერბეიჯანის სომხეთის მთავრობას არავითარი შეტევა არ უწარმოებია წინააღმდეგ, პირიქით, თქვენი ჯარების ნაწილები ორჯერ: 20 მაისს და ივნისის შუა რიცხვებში სრულიად უმიზეზოთ დაეცენ იმ ქალაქებს და სოფლებს, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკის უდავო ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ რაზმებმა, რომლებმაც დაიკავეს კარავანსარაი და მისი მიდამოები შემდეგ, ჩვენი ჯარების მიახლოვების დროს, დაიხიეს უკან, და ამ დროს სრულიად გაძარცვეს სომხეთის მოსაზღვრე სოფლები, ისინი ხვრეტდენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და სომხეთის თანამდებობის პირნი ტყვეთ მიყავდათ. თქვენი მთავრობის თანხმობით და თქვენი თანამდებობის პირთა მონაწილეობით, ადერბეიჯანის სხვა და სხვა ადგილას, კერძოთ კი ბაქოში ეწყობა სომხეთის რაზმები და კონტრ-რევოლიუციასთან და ბეგების მოძრაობასთან საბრძოლველად ფრონტზე გაგზავნის მიზეზით, და ყაზახსა და აღსტაფაში მათი შეჯგუფების შემდეგ ძალათ გზავნიან მათ სომხეთისაკენ იმ მიზნით, რომ ამ რაზმებით სომხეთის წინააღმდეგ სამოქმედოთ ისარგებლოთ იმავე მიზნით შამშადილ-ობირის სომეხი მცხოვრებნი თქვენმა ჯარებმა ძალით წაიყვანეს და დახვრიტეს მუქარით სომხეთის ჯარებს, რომელიც გაგზავნილია რესპუბლიკის საზღვრების ჩვენ ტერიტორიაზე თქვენ მოსაზღვრე რაზმების თავდასხმისაგან დასაცავად, ამ ჟამად უჭირავს საზღვრის ხაზი, რომელიც სომხეთს ყოფს ადერბეიჯანთან და ამ მიზნის გარდა მას სხვა მიზანი არა აქვს.

სომხეთის ჯარებს არ უჭირავთ სოფ. კარაკიშლიაგი, საზღვრები ადერბეიჯანთან არ არის დარღვეული. იდგა რა ყველა კონფლიკტის მშვიდობიან გადაწყვეტის თვალსაზრისზე, ჩვენი მთავრობა, ჯერ კიდევ მაისში სთხოვდა თქვენს მთავრობას მოეწვიათ სომხეთ-ადერბეიჯანის საგანგებო კონფერენცია ყველა სადაო საკითხთა გადასაჭრელად და მხოლოდ, მეორეჯერ ტფილისში მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლის საშუალებით მიცემულ წინადადების შემდეგ, მივიღეთ თქვენი მთავრობის თანხმობა. ხელ ახლა ვადასტურებ რა ჩემი მთავრობის თანხმობას იმის შესახებ, რომ ყველა საზღვრის შესახებ სადაო საკითხები ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნეს გადატანილი, მე ჩემი მთავრობის სახელით რწმენას გამოვსთქვამ, რომ თქვენ მიერაც მიღებული იქნება ზომები რათა დაუყოვნებლივ შესწყდეს თქვენი რესპუბლიკის საზღვრებში ისეთი რაზმების იძულებითი შეკრება, რომლებიც სომხეთის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული და მოგვცემთ გარანტიას, რომ სომხეთის საზღვრები ადერბეიჯანის მხრით ხელუხლებელი იქნება, როგორც თქვენი ჯარების აგრესიულ მოქმედებისაგან ისე სხვა რაზმების მოქმედებისაგან.

გარ. საქ. მინისტ. **ოგანჯანიანი.**

# უცხოეთი

**(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)**

**რუსეთ-ფინეთის მოლაპარაკება.**

კავკავის „კომუნისტი" ფინეთ-რუსეთის მოლაპარაკების შესახებ იუწყება, რომ ფინეთი მოითხოვს რუსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, როგორც რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, სიგრძით 45,000 კვ. ვერსი. წერილის ავტორი კითხვას იძლევა: ნუ თუ ფინეთის საზავო დელეგაციაზე ასე ამაღელვებლად მოქმედებს ინგლისის ფლოტის გასართობი სეირნობა ბალტიის ზღვაზე? რასაკვირველია, დიდი სახელმწიფოები, აღნიშნავს ავტორი და კერძოდ ინგლისი, მზათ არის შესწყვიტოს საზავო მოლაპარაკება ფინეთთან. რუსეთის მთავრობას არ შეუძლია ისეთს დათმობის გზაზე წავსლა, რომელიც დაარღვევს რუსეთის საცხოვრებელ ინტერესებს. დეე, აჩქარდეს ფინეთი, ათავებს ავტორი, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი დათმობაზე უარს განაცხადებს.

**ლენინის დეკრეტი.**

„პტი პარიზიენი"-მა ჰელსინგფორსიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ლენინის დეკრეტის თანახმად უცხო ბაზართან საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე საბჭოთა მთავრობის აბსოლიუტური კანტროლი წესდება.

**საალყო წესები მილეტენში.**

მცირე აზიის ზონასთან სამხედრო მოქმედების სიახლოვის გამო მილიტენში საალყო წესები გამოცხადდა.

**საბერძნეთის კომპანიის გეგმა.**

მილიერანთან საუბრის დროს ვენეზილოსმა გააცნო მას მცირე აზიაში საბერძნეთის კომპანიის გეგმა და აუწყა მას მიღწეული შედეგების შესახებ. საბერძნეთის მოქმედება განაცხადა ვენეზილოსმა, მიმართულია ცხოვრებაში საზავო ხელშეკრულების განხორციელებისაკენ. ომს არა აქვს ეროვნული ხასიათი და ისლამის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

**ოსმალეთის პროტესტი.**

დამად-ფერიდ ფაშამ კონფერენციას აუწყა ოსმალეთის პასუხი საზავო ხელშეკრულების შესახებ. ოსმალეთი პროტესტს აცხადებს სირიისადმი ალექსანდრეტის გადაცემის გამო და წინადადებას იძლევა სამხრეთ საზღვარი დაუდოს ოსმალეთს რასიდან და ბაზიტიდან ხმელთა შუა ზღვით სამსინამდე. ალეპპოს ჩრდილოეთით დაბბისამდი ნისსიბინის სამხრეთით დ სოსულის ჩრდილოეთით. ოსმალეთის მთავრობა ფიქრობს, რომ სომხეთის ძველ რუსეთ-ოსმალეთის საზღვარს იქით გადიდებას არავითარი საფუძველი არა აქვსო.

**ნური-ფაშა.**

მიღებული ცნობებით ნური ფაშამ თავისი ჯარი ჯევანშირის და კარიჩინის მაზრის ქვემო ნაწილებში გადაიყვანა. აწყობენ ახალ ძალებს. რაზმებს შეუერთდა არეშის, ნუხის, ლენქორანის და ჯევათის მაზრის თათრები. ნური ფაშამ თავისი თავი ყარაბახის უმაღლეს მმართველად გამოაცხადა.

**ფრანგული პრესა ინგლისის შესახებ.**

„ეხო-დე-პარი" აღნიშნავს, რომ ინგლისმა სავსებით აღასრულა ის მიზნები, რომლისკენაც იგი ომის დაწყებიდან მიისწრაფოდა. ინგლისი რჩება ზღვის მეფეთ. ფოშმა თავისი გამარჯვებით გერმანიის მთელი ფლოტი ინგლისს ფეხქვეშ ჩაუგდო. გერმანიის ახალშენების უმეტესობა ინგლისის შეიქნა. ინგლისს ევროპის კონტინენტზე აღარა ჰყავს მოქიშპე. საფრანგეთს არ შეუძლია კონკურენციის გაწევა. ოსმალეთის ხელშეკრულება, თუ მას ხელი მოაწერეს დიდძალას მისცემს ინგლისს აღმოსავლეთში.

**მოკავშირენი და ვილსონი.**

„ჟურნალ დე-ჟენევი" იუწყება: საფრანგეთის პალატამ ხმა მისცა მნიშვნელოვან სესხს, რომელიც ხალხთა ლიგას უნდა გადაეცეს. მოკავშირეებმა კოლექტიური განცხადება გაუგზავნეს ვილსონს, რომ მან ვერსალის ხელშეკრულების თანახმად ხალხთა ლიგის პირველი პლენარული სხდომა მოიწვიოს.

# ახალი ამბები

✦ **ირაკლი წერეთელი ბათომიდან საზღვარ-გარედ გაემგზავრა.**

✦ **საქართველო-ადერბეიჯანის ფრონტზე.** შაბათს, 10 ივლისს, დამფუძნებელ კრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მისიის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი დამფ. კრების წევრ კალანდაძესა და მოსაზღვრე რაზმის უფროს გენ. ახმეტელთან ერთად წითელი ხიდის მიმართულებით საქართველო-ადერბეიჯანის ფრონტზე გაემგზავრა. აქ ჯარის კაცებს საჩუქრები დაურიგეს და გადასცეს ცნობა ბათომის და ბათომის ოლქის საქართველოსთან შემოერთების შესახებ. ეს ცნობა ჯარებმა აღფრთოვანებით მიიღეს.

✦ **ბოლშევიკების შეტევა სომხეთის წინაამდეგ** საბჭოთა ჯარების ნაწილებმა დაიწყეს შეტევა ზანგეზურის წინაამდეგ. სომხეთის მთავრობამ, სომხეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკური რაზმების შეჭრის გამო, კატეგორიულად პროტესტით მიმართა საქართველოში მყოფ საბჭოთა წარმომადგენელს კიროვს და ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა კომისარ ჰუსეინოვს.

✦ **ქალაქთა კავშირი.** ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ ბიუროს მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: 1. ბორჯომის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია გადაეცეს ქ. ბორჯომის განკარგულებაში. 2. ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიასთან დაუყოვნებლივ დაიწყონ ხოლერის ვაკცინის ჭკეთება, 3 ქალაქთა კავშირის თანამშრომლებზე და მოსამსახურეებზე გაავრცელონ თვითმართველობის დადგენილება საზაფხულო დასვენების შესახებ 4, შეაჩერონ „გოროდ-ი ზემსტვოს". ჟურნალის მორიგი ნომერის გამოცემა და დაავალონ რედაქტორებს მოხსენება გააკეთონ ქალ. კავშირის საკუთარი ჟურნალის გამოცემის შესახებ.

✦ **შიმშილობა სოჭის ოლქში.** სოჭის ოლქში ტრანსპორტი მეტად დაშლილია. გლეხები არავითარ ფულზე არ აძლევენ პურს. ბოლშევიკების ადგილობრივი კომიტეტი გლეხებს მიტინგებზე იწვევს, იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ეკონომიურ დაშლის წინაამდეგ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ მიტინგებზე მხოლოდ 10 არა კომუნიმტი თუ მოვა აუარებელ საბჭოთა სპეკულიანტებს გარდა. ამასთანავე ძველ გამოცდილ კოოპერატორებს დევნა დაეწყო. პაპულიარული კოოპერატორი ფილიევი დატყვევებულია. ტუაპსეს და სოჭის შორის დამოკიდებულება შეწყვეტილია. 50 წლამდის გამოცხადებულია შრომის ბეგარა, მათ შორის უცხოელებსაც.

✦ **ნახშირი ტფილისისათვის.** სათბობი მასალის განმანაწილებელმა კომიტეტმა ტყიბულში გაგზავნა საგანგებო კომისია ქ. ტფილისის ნახშირით უზრუნველყოფის საკითხის ადგილობრივ გამოსარკვევათ. ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლად ამ კომისიაში იქნება ა. რუხაძე.

✦ **დენატურის დამზადება.** ექსპლოატაციის უფროსმა განკარგულება გასცა, რომ სად. მცხეთაში ყოველ დღე მოიტანონ 90 ქვაბი, რათა ტფილისში გააგზავნონ ნავთი დენატურატის დასამზადებლად.

## რედაქციისაგან.

**რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს რესპუბლიკის ყველა ერობებს და ქალაქის თვითმართველობებს დროზე მოაწოდონ ხოლმე რედაქციას მორიგი სხდომების მხოლოდ დადგენილებანი. დაგვიანებით გამოგზავნილი მასალა და სხდომაზე მომხდარ კამათის ანგარიში არ დაიბეჭდება. სასურველია დასაბეჭდი მასალა დაწერილი იყოს ერთ გვერდზე და ხელმოწერილი მდივნის ან დაწესებულების რომელიმე პასუხის მგებელ პირის მიერ.**

## სასამართლოში

**შალვა მაღლაკელიძისა და სხვების საქმე.**

(9 ივლისის სხდომა).

(მოწმეთა დაკითხვის გაგრძელება)

მოწმე **ფხაკაძე** სასამართლოში გამოწვეულია იმის გამოსარკვევად, თუ რა ფულით იყიდა შალვა მაღლაკელიძემ ტფილისში სახლი. ფხაკაძე მაღლაკელიძის მამასთან ყოფილა სოფელში და ცნობები შეუკრებია მაღლაკელიძის ქონების შესახებ. გაუსინჯია საბუთები, რომლიდანაც დარწმუნებულა, რომ მაღლაკელიძის მამას კარგი მამულები ჰქონია სხვა და სხვა ალაგას. ჟნახავს ის საბუთიც, რომლითაც შ. მაღლაკელიძეს თავის ნაწილზე უარი უთქვამს ძმის სასარგებლოდ. ფხაკაძის გამოკვლევით სამაგიეროდ შალვა მაღლაკელიძეს ფული მიუღია მამისგან და სახლი უყიდია.

მოწმე **შ. ინასარიძე.** ახალციხეში მაღლაკელიძესთან ვმსახურობდი. ვიცნობ კარგად. ეგი ირთად-ერთი პატრონი იყო ახალციხისა. ყოველგვარ გაჭირვების დროს ყველას მაღლაკელიძე ეკერა პირზე. ვიცი, რომ ეგ ფულს ხარჯავდა გვარდიელებზე, რომელთაც მაღლაკელიძის დავალებით სადილებს ვუმზადებდი. ამ საქმისათვის მაღლაკელიძემ ფულიც მომცა, მხოლოდ აღარ მახსოვს რამდენი. მაღლაკელიძე ინახავდა აგრეთვე მფრინავ რაზმს. მე ახალციხელი ვარ, ოფიცერი, მაგრამ ახალციხის დაცვის დროს ყველაზე წინ ბრძოლაში მაღლაკელიძე იყო ხოლმე.

ბრალდ. **ჩაჩიბაია** რამდენიმე კითხვას აძლევს მოწმეს და ბოლოს დასძენს, მოწმისაგან ფული არასოდეს არ მისესხნია. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომ პოლტავაში ოფიცერმა სოზიევმა ჩემი თავდებობით 150 მან. ისესხა ინასარიძესაგანაო.

**ლეო რუხაძეს** მხარეები ხელმეორედ აძლევენ კითხვებს. სხვათა შორის ეკითხებიან, სომხური ეროვნული საბჭო ახალციხეში აძლევდა თუ არა ბენზინს მაღლაკელიძეს და თუ აძლევდა, ფასით თუ უფასოდ. მოწმე უპასუხებს: არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ ეს საბჭო საერთოდ არაფერს იძლეოდა, პირიქით სცდილობდა მუდამ ჩვენგან წაეღო.

მოწმე **ბებუთოვი** მოუთხრობს სასამართლოს თელავში ყოფნას გენ.-გუბერნატორთან ერთად და ლაპარაკობს მაღლაკელიძისა და ოფიცრების დამოკიდებულებაზე, რომელიც თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა.

**ბებნაძე** (ახალციხელი). მე შალვა მაღლაკელიძის მფრინავ რაზმში ვმსახურებდი. რაზმში 17 ცხენოსანი და სამი ქვეითი იყო. ჯამაგირებს ვიღებდით. ამას გარდა მაღლაკელიძე ცხენების ულუფასაც გვაძლევდა, სოფლები არ შეაწუხოთო.

ბრალდ. **ჩაჩიბაია** ამბობს, რომ მაღლაკელიძეს არავითარი რაზმი არა ჰყოლია. ჰყავდა მხოლოდ პირადი მცველებიო.

მოწმე **ტომაშევიჩი** (ახალციხელი) ადასტურებს, რომ მაღლაკელიძეს რაზმი ჰყავდა. ჩაჩიბაიას ახასიათებს, როგორც განცხრომით ცხოვრების მიმდევარს, ხოლო აზნაუროვს, როგორც პატიოსან და სასარგებლო მუშაკს.

მოწმენი **მალხაზ ერისთავი, ბეთანოვი და ზ. ჭინჭველაძე** ასწერენ ახალციხის მაშინდელ ცხოვრებას და ამბობენ, მაღლაკელიძე ამ დროს ბევრ ფულს ხარჯავდა სხვა და სხვა საერთო საქმეზეო.

მოწმე **ალელოვი**. მაღლაკელიძეს ახალციხეში მფრინავი რაზმი ჰყავდა, რომელიც ჯერ 20 და შემდეგ 38 კაცისაგან შესდგებოდა. რაზმს ჯამაგირი ეძლეოდა, აგრეთვე თივაქერი. რაზმის დანიშნულება იყო, დახმარებოდა იმ სოფლებს, რომელსაც გაუჭირდებოდათ. რაზმის უფროსათ მე ვიყავი.

**ირ. ჭინჭველაძე** (ახალციხელი). მისი ჩვენებით იგი მაღლაკელიძის დროს თელავის მილიციის უფროსად ყოფილა. აქ მას მაღლაკელიძისგან ათასი მან. საჩუქარი მიუღია ყაჩაღების დევნაში მონაწილეობისათვის.

ჭინჭველაძე მოწმე ყოფილა მაღლაკელიძის მუშაობისა ახალციხეშიც, სადაც მას, მაღლაკელიძეს დიდძალი ფული ეხარჯებოდა საზოგადო საჭიროებებზე.

მოწმე **ლაზიევი** (ახალციხის კომისარიატის ყოფილი მდივანი). მაღლაკელიძეს რაზმი ჰყავდა და თვით ინახავდა. ვიცი რომ მაგან ფული დახარჯა მოსულ გვარდიელებზე, გვარდიელებს ხარჯს აძლევდენ: ქალაქის თვითმართვლობა, სომხური ეროვნული საბჭო და მაღლაკელიძე. მაღლაკელიძე უბრალოდ ცხოვრობდა. ჩაჩიბაია მდიდრულ ცხოვრებას ეწეოდა. ეტლით დაიარებოდა. ქილალდს თამაშობდა, მაგას აბრალებდენ და ფაქტიც არის, რომ იარაღს ჰყიდდა სომხურ ეროვნულ საბჭოზე. როგორც გაგებული მაქვს, მან სამი თოკი მიჰყიდა ვანო მნაცაკანიანცს. ამას გარდა 600 მან- ქრთამი აიღო დიდიმამოვისაგან ჩილინგაროვის ხელით.

ამ განცხადების გასაბათილებლად ბრალდ. ჩაჩიბაია ახალ მოწმეთა გამოწვევას თხულობს. სასამართლო შუამდგომლობას იწყნარებს.

## სავალდებულო დადგენილება

**გორის მიწის ძვრის სამშენებლო ნაწილისაგან.**

5. **ხე-აგურის შენობები** (ფახვერკი).

შეიძლება გაკეთდეს იმ პირობით, რომ მიღებულ იქნება იგივე ზომები, რომელნიც ხის შენობებისათვის სავალდებულოა. კედლები უნდა იყოს გაკეთებული მტაცარითი სისტემით (схваточная система), ჭანჭიკებით გამაგრებული, მტკიცე და მდგარ მდგომარეობაში მოყვანილი ირიბანების საშუალებით. ამოქოლვა ნებადართულია იმ პირობით, რომ სისქე არა ნაკლები ერთი აგურისა იქნება.

**6. ქვის შენობები კირის დუღაბზე.**

ნებადართულია იმავე საფუძვლებზე, როგორც აგურის შენობები; მხოლოდ ქვის ზედა და ქვედა პირები უნდა იყოს სწორედ, გვერდები კი ტლანქად მოთლილი.

ა) უმცირესი კედლების სისქე ერთი არშინი უნდა იყოს.

ბ) კვამლსადენები უნდა გაკეთდეს გამომწვარი აგურისგან კედლების მთელ სისქეზე და იმ პირობით, რომ მილების და კედლების წყობები იქნება ერთმანეთთან გადაბმული უფრო ახალი კედლის შიგნითურ ზედაპირთან.

7. აგურის შენობები მჭიდას (ცემენტის) დუღაბზე, ქვის და ტინობის (ბეტონის).

ნებადართულია სიმაღლით 10 არშინამდე ფილაქანფენილის (ტროტუარის) დონედან ლავგარდნის ზევითა წერტილამდის ანგარიშით; მხოლოდ მიღებული უნდა იქნეს ყველა ის ზომები, რომელიც სავალდებულოა კირით აგებულ შენობებისათვის.

საშუალო სიდიდის სილასთან დუღაბი უნდა იყოს არა უმჭლევესი 1 ნაწ. მჭიდა 4 ნაწილ სილაზე, მეორე სართულისთვის დუღაბის დამზადებისას უნდა იყოს დაცული ტეხნიკური პირობით.

**შენიშვნა.** ნაწ. 2, 6 და 7. წალოების და დალაბების (амбразуръ) გაკეთება კედლებში ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, თუ მათი ზევითა ნაწილში იქნება განმტვირთი (разгрузы) ან პრტყე-თაღები (перемыки) ანუ იქნება გადახურული რკინის კოჭებით.

## მილიციაში

**ევგენი დვალის დაჭერა.**

— ივლისის 9-ს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო და დააპატიმრა ევგენი ნიკოლოზის ძის დვალი. მას ბრალდება შანტაჟი რომელიც გამოიხატება შემდეგში: ევგენი დვალს დაუწერია თხოვნა ზაქარია მიხეილის ძეს ჭინჭარაძესთვის. დაუწერია რა დვალს ეს თხოვნა ნახევრად ჭინჭარაძესთვის უთქვამს რომ ხელი მოეწერა თხოვნისთვის დანარჩენი ადგილი კი შევსებული იქნება იმ დაწესებულებაში სადაც თხოვნა მიტანილი იქნებაო. ჭინჭარაძეს არავითარი ეჭვი არ დაჰბადებია და თხოვნაზე ხელი მოუწერია. ამის მერე დვალი წასულა. ცოტა ხნის შემდეგ დვალი დაბრუნებულა და თან მოუტანია თხოვნა მანქანაზე გადაბეჭდილი და ხოლო მეორედ მოუთხოვია ჭიჭარაძესაგან თხოვნაზე ხელის მოწერა. ჭიჭარაძესაც ხელ მეორედ მოუწერია ხელი თხოვნაზე. დვალს, რომ ჭინჭარაძესთვის არავითარი ეჭვი არ გაეღვიძებინა პირველი ხელნაწერი თხოვნა დაუკეცნია და იქვე ჭინჭარაძეს წინ დაუხევია მხოლოდ მეორე თხოვნა კი ჭინჭარაძეს ხელმოწერილი შეუნახავს დვალს თხოვნის ტექსტი გაუვსია სადაც ნათქვამია რომ ჭინჭარაძე ვალდებულია მისცეს 50,000 მან. და ამავე დროს კი ჭინჭარაძესგან კმაყოფილდება 10,000 მანეთით თუ ამ თანხას მისცემდა მაინც. ჭინჭარაძე განცვიფრდა რომ დვალის მოვალი არა ყოფილა არაფერში და იგი კი სთხოვდა ფულს. ამის შემდეგ ჭინჭარაძემ გამოაქვეყნა დვალის შანტაჟი. ევგენი დვალი დაპატიმრებულია და საქმის გამოძიება სწარმოებს.

— 10 ივლისს სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაჭერილია მარიამ მარტიროსოვი, რომელსაც ბრალდება 50,000 მანეთის ნივთების მოპარვა ანნა ივანეს ასულს არღუთინსკი-დოლგორუკის ბინიდან (ბებუთოვის ქუჩა № 29). ყველა ეს ნივთები მარტიროსოვის ბინაზე აღმოჩნდა, მაგრამ მარტიროსოვმა მაინც თავისი თავი დამნაშავედ არ იცნო.

— 9 ივლისს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატამრა ნიკოლოზ ანდრიაძე კახიანი. მას ბრალდება სალომბარდო კვიტანციის მოპარვა იულია პავლეს ასულის ფირცხელაურის ბინიდან. კვიტანცია 60,000 მანეთის ნივთების ღირებულებისა ყოფილა. ყველა ნივთები აღმოჩენილია და გადაცემულია პატრონზე. კახიანი თავის ბოროტ განზრახვაში გამოტყდა.

## განცხადებანი

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 196 ივანე გერასიმეს ძე რავჩეგის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1918 წელს გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1764 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ნოვი დელიჟანის სამმართველოდან 1915 წ. და ჯვრის წერის მოწმობა, მიღებული კაზახში 1917 წ. მარიამ ვლადიმერის ასული სტრელეცკაიას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1765 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი, მადათოვის კუნძულზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სპირიდონ ბუხრაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს

1766 3—3

დაიკარგა 1. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 60—ნომრებით 118, 2922, 3304 და 4213, სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორასთან არსებულ შემნახველ კასის წიგნაკი № 7904 და ტფ. საკრედიტო საზოგადოების კვიტანცია—1915 წ. 3 სექტემბერს მიღებული—აირაპეტ ალექსანდრეს ძე სელიკოვის სახელზე; 2. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 1449—ნომრებით: 4214 ნადეჟდა აირაპეტის ასული სელიკოვის სახელზე და 3. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 1448,—ნომრებით: 4210, 4211, და 4212—ეკატერინა აირაპეტის ასული სელიკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1759 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ტ(?) ფეფელოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. რეესტრით № 992. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1730 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა თედორე ევდოკიმეს ძე კოზირევის სახელზე, მიღებული ყოფილა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

(უფ). 3—3

დაიკარგა ქუჩაზე პაპიროსებით ვაჭრობის ნებართვა № 850, გიორგი დიმიტრის ძე მაისურაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმმართველობიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1739 3—3

დაიკარგა ჯარში გაწვევ ნაწილში მიწერილობის მოწმობა № 159 ალექსანდრე გიორგის ძე ტერ-გრიგორიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1761 3—2

დაიკარგა ორი საბარგო კვიტანცია №№ 31610 და 31611, ფირმა ტ. ვალაცის მიერ გამოგზავნილ საქონელზე ბათუმიდან ტფილისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1762 3—2

დაიკარგა პასპორტი სიმონ მამაგეიშვილის სახელზ, მიღებული როსტოვის საქართველოს საკონსულოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1760 3—2

დაიკარგა მოწმობა № 417 სამხედრო აღრიცხვის უფროსთან გამოცხადების გიორგი ქართველიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პირველ ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1755 3—2

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მიწერილობაზე № 5554 გრიგოლ ნესტორის ძე მეტრეველის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ საითვალოს.

1757 3—2

დაიკარგა 20000 მან. კვიტანცია № 39, ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯაფარიძის სახელზე, მიღებული ცენტრობანკიდან ივნისის 5-ს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1751 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 8394, მინა ჯაშინას ძე ნეფარიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1741 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 27 ტიხონ ათანასეს ძე პროხოროვის სახელზე, მიღებული იანოვო-შეპტუხოვის ოლქიდან დონის ოლქი—1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1742 3—2

დაიკარგა პასპორტი გაცემული ქ. ბაქოს მე-6 უბ. საპოლიციო სამმართველოდან 8|II 1919 წ. №1316 ალექსანდრე პეტრეს ძე ფოხტის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1733 3—2

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 678 იოსებ კევლეშის ძე რაბინოვიჩის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1784 3—2

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა პეტრე რაფიელის ძე ოგანჯანოვის სახელზე, შედგენილი სიღნაღის ნოტარიუსის ჯაფარიძის მიერ 1896 წ. და დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1051
1787 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1617 მიხეილ ევგენის ძე მირონოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1783 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, სასამართლოს ქუჩაზე № 22 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კოვლაშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
749 3—3

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 მაისს 1920წ. დამტკიცდა 5 მაისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული იაკობ მაშას ძე ციციაშვილის მიერ აბრამ იაკობის ძე ციციაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ვარანცოვის ქუჩაზე შენობით ზომით $14^{3}/_{10}$ კ. საჟ., მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 420 მან.

მთავარი ამონაწერი 110 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 25 მაისს 1920 წ.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 5 მაისს 1920 წელსა შესრულებული ნასყიდობა მიცემული ეკატერინე გიგოს ასული შენგელიას მიერ, ვარლამ გიორგის ძე კოხრეიძეზედ ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, სალორიის დაჩაშიდ შენობებით ზომით ა. და დ. 5 და 5 საჟ., ს. 15 საჟ. და $1^{1}/_{2}$ არ. ჩ. $15^{3}/_{10}$ საჟ., ფასი 50,000 მანეთი სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 2000 მან.

მთავარი ამონაწერი 500 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 25 მაისს 1920 წ. № 129—ქვეშე.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 16 მაისს 1920 წელსა შესრულებული ნასყიდობა მიცემული ყობო, იგივე იაკობ მოშას ძე ციციაშვილის მიერ, აბრამ იაკობის ძე ციციაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, გაგარინის ქუჩაზედ. შენობით ზომით ჩ. მხრით $1^{30}/_{100}$ საჟ., ს. დ. მხრით $14^{95}/_{100}$ საჟ., ს. ა. მხრით $6^{53}/_{100}$ საჟ., ჩ. ა. მხრით პირველათ ს. ა. ჩ. დ. $2^{40}/_{100}$ ს., მერმე ს. დ. ჩ. ა. $^{60}/_{100}$ საჟ., და შემდეგ კიდევ ს. ჩ. დ. $2^{8}/_{100}$ საჟ., შემდეგ ჩ. ა. ს. დ. $^{17}/_{100}$ საჟ., ს. ა. ჩ. დ. $1^{6}/_{100}$ საჟ. და ბოლოს ს. ჩ. $5^{40}/_{100}$ საჟ., სიმტკიცის გადახდილია 400 მან. ღერბის 100 მან. ღერბის 100 მან, ფასი 10,000 მან. 1920 წელსა № 134— ქვეშე.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 14 თებერვალს 1919 წელსა შესრულებული განყოფილება იოსებ გრიგოლის ძე და ნინო ივანეს ასული კემულარიების შორის 2 ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, მიხეილოვის ქუჩაზედ და ივანოვის ქუჩაზედ. ზომით I ნაკვეთი 158 კ. საჟ., II ნაკვეთი კ. ტეხილი ხაზით ჩ. 15 ს., ჩ. კ. $10^{25}/_{100}$ ს., კიდევ ს. ჩ. $3^{42}/_{100}$ საჟ., შემდეგ ა. დ. $10^{25}/_{100}$ ს., დ. ჩ. $^{42}/_{100}$ საჟ., დ. $27^{1}/_{10}$ საჟ., ს. $8^{32}/_{100}$ ს., ჩ. $^{20}/_{100}$ ს. ფასი 50,000 მან.

მთავარი ამონაწერი 780 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 28 მაისს 1920 წ. № 135.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 8 აპრილს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მარიამ სიმონის ასული რუსაძის მიერ ხარიტონ მათეს ძე რუსაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში მესხეთის ქუჩის შესახვევში შენობით ზომით 36 კ. ს., 1000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 30 მან.

მთავარი ამონაწერი 10 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 25 მაისს 1920 წ.
733 1—1

1918 წ. მარტის 7-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ალექსანდრე და ბაგრატ თათოს ძე თეიმურაზოვებმა 2093 მ 28 კ. მიჰყიდა მოქ. სერგი იგივე სარქის, ზაქარიას ძე მუნჯიევს იგივე ოგანეზოვს უძრავი ქონება, მდებარე ქ. თელავში, ქალ. № 1296, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით 152 კვ. ს. გადახდილია: სააქტო—3 მ., გ ნცხ.—1 მ, 50 კ. გადას—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 105 მ. 60 კ. მთავარი ამონაწერი 13 მ, 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
326

1918 წ. მარტის 7-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნაჩუქრობის სიგელი, რომლითაც მოქ. ივანე მიხეილის ძე ოსტროვსკიმ აჩუქა თავის ქალიშვილს ელენე ივანეს ასულს ოსტროვსკაიას კავრიშევისას მიწის ნაჭერი ზომით 441 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილ. მე-12 უბ. ქალ. № 236. გადახდილია: სააქტო—3 მ-, განცხ. 1 მ 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკ 133 მ. 50 კ. მთავარი ამონაწერი 44 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
327

ქ. ტფილისის მეოთხე უბნის სასამართლოს ბოქაული ვ. კ. აბაშიძე ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 21 ივლისს, დილის 10 საათზე, მოხდება მის მიერ საჯარო ვაჭრობა, ნიკო პლუჟნიკოვის და ნიკო გოლდბერგის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს დამარილებულ თევზს, (სელდი) და დაფასებულია 10,450 მანეთში, ხოლო აღწერილი კონსტანტინე სასიძის ძიებულ 15,156მან. დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება მუხრანის ქ. № 17, ვოტნიკის სარდაფში, ვაჭრობა განმეორებულია.
1788 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 29 აპრილს, 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ტარასი, იგივე იზახარ, ამირანის ძე კამკამიძის მიერ ტარასი მოსეს ძე სახამბერიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში სამთო უბანში ტფილისის ქუჩის შესახვევში შენობით ზომით $77^{5}/_{10}$ კ. ს.. 170,000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 6,800 მან.

მთავარი ამონაწერი 1,700 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1 ივნისს 1920 წ.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა ფლობელობითი მოწმობა, შედგენილი ქუთაისის ნოტარიუსის მოსიძის მიერ 25 მაისს 1920 წელსა უძრავ მამულის შეძენის თაობაზე ერმილე და კლიმენტი ბესარიონის ძე ლომიძეების რომელიც ეკუთვნოდა მასვე მდებარე ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩის შესახვევში და შედგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 48 ოთხკუთხი საჟენი ფასი 275 მან. სიმტკიცის ბაჟი 12 მან. ამონაწერი 3 მან. ღერბის ქაღალდზე.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთაისის ნოტარიუსის ხუსკივაძის მიერ 8 მაისს 1920 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე მაიკო გლახუას ასული ჯვარიანისა რომელიც ეკუთვნოდა სამსონ ივანეს ძე ჯვარიანის ობლებს მდებარე ქ. ქუთაისში მესხეთის ქუჩის შესახვევში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 160 ოთხკუთხი საჟენი ფასი 100 მან. სიმტკიცის ბაჟი 4 მან. ამონაწერი 1 მან. ღერბის ქაღალდზე.
733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 მაისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული იაკობ მოშას ძე ციციშვილის მიერ აბრამ იაკობის ძე ციციაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ვარონცოვის ქუჩაზე შენობით ზომით სიგრძით ა. დ. 14 ს. და 1 ალაბი სიგანით კი 8 ალაბი. 10,000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 420 მან.

მთავარი ამონაწერი 110 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 25 მაისს 1920 წ.
7331—1

დაიკარგა საბინაო დავთარი საპიორის ქუჩაზე № 8 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პავლე პანკრატოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1794 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სამმართველოს უფრომა ნოტარიუსის მიერ 9 აპრილს 1904 წელში, რეესტრით № 832, ადელაიდა თევდორეს ასულის ზეიდლიცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
1803 3—1

1918 წ. მარტის 10 ტფ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. რაჟდენ ფარნაოზის ძე გოგორიშვილმა 1000 მ. მიჰყიდეს ანასტასია ნიკოლოზის ასულს ქვრივიშვილს მიწის ნაჭერი, მდებარე საბურთალოზე, ზომით 77 კვ. ს. გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. სიმტკიცის 40 მ. მთავარი ამონაწერი 5 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
327

1918 წ. მარტის 8-ს ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. პანტელეიმონ გრიგოლის ძე ივაშჩენკომ 9.500 მ. მიჰყიდა გიორგი პავლეს ძე და ვერა ანტონის ასულს გორდეზიანებს მიწის ნაჭერი, ზომით 25 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-8 უბ. ლორის ქ., ქალ. № 1118. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ. გადას. 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 380 მ. მთავარი ამონაწერი 47. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
327

დაიკარგა სამხედრო მიწერილობის მოწმობა № 3325 ნიკოლოზ სანდროს ძე ბერუაშვილის სახელზე მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1799 3—1

დაიკარგა სტატისტიკოსობის მოწმობა № 453, მიღებული სასტატისტიკო კომიტეტიდან 1920 წ. და მატრიკული № 485, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 2337, მიღებული ქუთაისის სამაზრო სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ნუცუბიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1806 3-1

ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვისა აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ ირაკლი იოსების ძე კაპანაძისადმი და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუს წინამძღვარიშვილის მიერ 1919 წ. რეესტრით № 2568
1793 3—1

დაიკარგა პასპორტი შოუშ ავდას ძე ჯოფოევის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს.
1—1 (უფ.)

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. 1920 წ. მიხეილ მაქსიმეს ძე სირბილაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1798 3—1

## კახელ მევენახეთა და მეღვინეთა აქციონური საზოგადოება „კახური ღვინო"-ს გამგეობა ამით აცხადებს,

რომ თანახმად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვისა მიმდინარე წლის 13 მარტის თარიღით № 657, საზოგადოებამ უნდა გამოსცეს ძირითადი თანხის გასადიდებლად დამატებითი ერთი მილიონი მანეთის აქციები, ე. ი. ორი ათასი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულება იქნება 500 მან.

შემდეგი პირობებით:

1. თითო აქცია ეღირება 530 მან., რომლიდგანაც 25 მან. გადირიცხება სათადარიგო თანხაში და 5 მან. სალერბო გადასახადი.
2. მეორედ გამოცემულ აქციების შეძენის დროს უპირატესობა ეძლევათ ძველ აქციონერებს, ყოველს მათგანს თითო აქციაზედ მიეცემა ორი ახალი აქცია.
3. ახლად შეძენილ აქციების მთელი ღირებულება უნდა იქნას შემოტანილი მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე.
4. გამგეობას ნება აქვს გაყიდოს ახალი აქციები გარეშე პირებზედ, რაც აღნიშნულ ვადაზედ გაუყიდავი აქციები დარჩება.
5. ახლად გამოცემულ აქციების პატრონნი სარგებლობენ დივიდენდით მხოლოდ მომავალი წლის პირველ იანვრიდან.

1795 1—1

## დამფუძნებელნი ტფილისის ქიმიური ქარხნის სააქციო საზოგადოებისა

ამით აცხადებენ რომ კვირას, აგვისტოს 8-ს 12 საათზე შესდგება დამფუძნებელი კრება სააქციო საზოგადოებისა—ლორის მელიქოვის ქუჩაზე № 8 პირველ კერძო ლომბარდში.

განსახილველი საგნები:

1. შეთანხმება ტფილისის ქიმიური ქარხნის ქონების გადაცემის შესახებ სააქციო საზოგადოებისათვის ყოველივე თავის უფლებებით და ვალდებულობით.
2. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა და მოქმედების გეგმა მიმდინარე წლისათვის.
3. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
4. მამულის შეძენა.
5. დამატებითი აქციების გამოცემა.
6. მიმდინარე საქმეები.

1792 1—1

## გზატკეცილების სამმართველო აცხადებს,

რომ სერგეევის ქუჩაზე № 8 მიმდინარე 1920 წ. ივლისის 16-ს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრების დაუშვებლათ (безъ переторжки) გადამწყვეტი საჯარო ვაჭრობა ზეპირი და დაბეჭდილი განცხადებით, რომლითაც მიეცემა დამზადება და დადგმა 407 კუბ. საჟენი გაუცხრილავ დამტვრეულ ქვისა, მის ერთიანად გასაშლელად მე-17 ვერ. 1 ასეულ. 20 ვერ., 37, 38, 52, 53 და 55 ვერ. ტფილის-მანგლისის გზა-ტკეცილებზე, მე-2 დისტანციის არეში, საერთო ჯამით—4.495.953 მან. სამუშაო უნდა გათავებული იქნას ოთხი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიეცემა მუშაობის დაწყების განწერი (нарядъ). ფასი უნდა გამოცხადებული იყოს ნარდათ ანუ ერთ კუბ. საჟენისა.

დასადგმელი ქვა უნდა იყოს დალაგებული ხორათ გზა-ტკეცილზე ან მის მახლობლად იმ ადგილზე რომელზედაც უჩვენებთ ადგილობრივი გზის უფროსი. მოხსენებული სამუშაოს პირობები აგრეთვე ტეხნიკური საბუთები შეიძლება გასინჯული იქმნეს სამმართველოში ქ. ტფილისში ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
744 1—1

## საზოგ. „კავკაზ და მერკური" და „ვოსტოჩნოე"-ს ტფილისის კანტორა

მით აცხადებს, რომ მის საწყობში (განოვის ქ. № 3) ამა წლის 22 აგვისტოს დილის 11 საათზე საზოგადოების წესდების ძალით

## აუქციონით გაიყიდება მოუთხოვნელი საქონელი

შემდეგი კვიტანციებით: № 50578—სახლის ავეჯეულობა წონ. 6 ფუთი 08 გ; № 77564 და 77565 მაუდის ნაჭრები წონ. 1048 ფ. 21 გ.; № № 338963. კანაფის თოკი წონით 126 ფ. № 187541 ხის ბოჭკები წონით 24 ფ.; № 270146—მოკოს ყავა წონ. 33 ფ. 04 გ.; № 71078—ელექტრონის ხელსაწყობი. (ფაიფურის როლიკები № 28,7 და 6) წონ. 38 ფ. 25 გ. და ერთი ლითონის ქსელი (ბადე).

1750 3—3